# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 16 პარასკევი, 22 იანვარი 1910 წ. № 16

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი—ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქცია გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ და ქართველ საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 21 იანვარს, გარდაიცვალა ჟურნალის რედაქტორი

მარიამ ივანეს ასული დემურიასი.

პანაშვიდები დღეს 22 და ხვალ 23 იანვარს წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს კუკიის სასაფლაოზე. (3—1)

მეგობარნი და ამხანაგნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

მარიამ ივანეს ასულის დემურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს. (3—1)

წარმოდგენა № 28. ქართული თეატრი წარმოდგენა № 28.

პარასკევს, 22 იანვარს 1910 წელს.

ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

სობოლჩიკოვ-სამარინისა.

სად მიხვალ?!

დრამა 5 მოქმედებად თარ. (Quo Vadis) აკაკი წერეთლისა.

პეტრონის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი მესხიშვილი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, თ. გოგოლაშვილი, მ. მდივანი, გ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშ., გომელაური, ნ. გვარამძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, სვიმონიძე, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 12 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე. გალერეია 40 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „სამეგრელოს მთავარი ლევან“, „მარგარიტა გოტიე“.

რეჟისორი კოტე მესხი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

შაბათს, ამა იანვრის 23-ს

საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კნ. გურამიშვილისა, ეკ. ივ. პოლტარაცკისა, ბ-ნნი ვიქ. რ. ვილშაუ, ივ. სარაჯიშვილი, ბრონ. ი. სლიუსარსკი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ქართველიშვილი, ვ. ურუშაძე.

ქართული და ევროპიული ცეკვა

ნაშუაღამევის 2 საათამდის

ადგილების ფასი 3—1 მან. ბილეთები იყიდება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. (8—7)

მცხეთის დედათა მონასტრის ოთხ-კლასიან ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ კვირას, 24 იანვარს, მაიმართება

საღამო

1. ბ-ნი გ. გ. გვაზავა წაიკითხავს ლექციას: „ნორა იბსენისა.—ევოლუცია ქორწინებისა და თავისუფლება პიროვნებისა.—ოჯახი და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

2. დივერტისმენტი: სიმღერა, ლექსები, კუპლეტები.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნ მიტკევიჩ-იანოვსკაია (შეასრულებს ქართულ რომანსებსაც), ბ-ნნი ხაკოლსკი, გედევანოვი, კავსაძე თავის ხოროთი, პ. ფალიაშვილი, ნ. ერისთავი, გოცირიძე, გრიშაშვილი და სხვანი.

3. ცეკვათამაში

დაუკრავს მუსიკა და საზანდარი.

ბილეთების ფასი 1 მ., მოსწავლეთათვის 50 კ. დასაწყისი რვა საათზე.

საღამო გაიმართება ქალაქის ბირჟის ზალაში, ერევნის მოედანთან.

(4—3) საღამოს დიასახლისი კნ. დ. ჯავახიშვილისა.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

პარასკევს, 22 იანვარს, 1910 წელს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. ქმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ციმბირელი

კომედია 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ღ. ლეჟავა, შალამბერიძე, ციმაკურიძე და ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, ზურაბიშვილი და მეტრეველი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 30 იანვარს.

რეჟის. კ. შათირიშვილი. ადმინისტრატორი ლ. ვახვახიშვილი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

სხოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—90)

ცნობილი ფირმა აბრეშუმის თესლისა

ხრისტო ს. ხრისტოდულიდისა

ამით აცხადებს, რომ მან გადასცა ამა 1910 წლიდან რამდენიმე წლით განსაკუთრებული უფლება გაყიდვისა თავის ფირმის აბრეშუმის თესლისა სავაჭრო სახლს ი. გოკიელოვის შ—ს ქუთაისში და სთხოვს ყველა მისს თესლის მყიდველს, მიმართონ მას საკუთარ სავაჭროში ქ. ქუთაისში. (30—ნ.—4)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.



გასტროლი იაპონურ დასისა.

პარასკევს, 22 იანვარს, 1910 წელს, დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. საუცხოვო წარმოდგენა შესანიშნავ ევროპ. არტისტებისა და კლოუნების მონაწილეობით. სხვათა შორის, მონაწ. იღებს შესანიშნავი იაპონური დასი, რომელიც შესდგება 25 კაცისაგან. ამ დასში სულ სასახლის არტისტები არიან. საუცხოვო სანახავია. დღეს უკანასკნელი გასტროლია. ბენეფისი ამ დასისა. დღეს იაპონელები შეასრულებენ ახალ ნომრებს.

იაპონური დასი გამოვა მე-2 განყოფილებაში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

დირექტორი ა. ნიკიტინი. გამგე გამსახურდია. (1—135—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—252)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი

ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—4)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში

ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—19

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი კბილისა ქუთაისში

ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N. 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—348)

ექიმი გ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—77)

ექიმი კბილისა

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—40)

ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროტერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—13)

ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთ, სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზგეროვის ქუჩა N 17ა პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. 0—6

ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—88)

ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—81)

ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიის საზოგადოება.

კავკასიის ნამესტნიკის ნება-რთვით აბასთუმანში არსდება ყველასათვის ხელ-მისაწვდენი სანატორია—100 ჭლექიანისათვის. სანატორია საუკეთესოდ იქნება მოწყობილი და შემოღებული იქნება ყველა ახალი მეთოდი. ფულის მოკრების შემდეგ, რომელიც საჭიროა საქმის თან და თან განსახორციელებლად, საზოგადოება დაუყოვნებლივ შეუდგება სანატორიის მოწყობას.

შემოწირულებანი მიიღება საზოგადოების თავმჯდომარესთან კნ. მ. მ. თუმანოვთან—პასკევიჩის ქ. N 6, გამგეობის წევრებთან ექ. მ. ნ. ვესელოვზოროვთან—კირპიჩ. შეს., ექ. ს. ი. ვაწაძესთან—პეტერბ. ქ., N 9, ექ. ი. ზ. გოპაძესთან—მაღლ. ქ. N 4, ექ. გ. დ. ლამბაშიძესთან—ვოლოვ. პრ, N 8, ი. მ. დოლუხანოვთან—პასკევ. ქ. N 6, ექ. ბ. ა. ზავრიევთან—განოვ. ქ. N 3, ექ. კ. ა. კრესტოვნიკოვთან—აბასთუმანში, ექ. ა. ა. მუხარინსკისთან—ველიამ. N 3, ექ. მონინთან—ქალ. სამმ სახლ., ექ. ი. ი. ოსტროვსთან—მიხეილ. ქ. N 106, გ. ნ. სტეფანოვთან—ახალ-ბებ. ქ. N 1, ექ. ნ. ზ. უმიკოვი—განოვ. ქ, N 15, ექ. ე. გ. ფედოროვი—ელისაბ. ქ. N 100, ექ. ა. ი. ხატისოვთან—ქალაქის გამგეობა. (5—2)

ვკისრულობ დაცვას

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ ხზვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საანგარიშო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. მაქვს ოცი წლის გამოცდილება. მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—27)

ექიმი ვასილ წერეთელი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—98)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

უკანასკნელი ვადა ხელის მოსაწერად

მანდემილის

თხზულებაზე—არის 25 იანვარი.

ვისაც სურს, ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ს. მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში, (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩა), „ნოვაია რეჩის“ წიგნის მაღაზიაში, (გოლოვინსკზე),—პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტებთან.

ხელის მომწერებს ეთმობა წიგნი 25 კაპ. (6—ნ.—4)

ვერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 23 იანვარს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ და ნ. მ. გაბუნია-ცაგარელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„მელანიას ოინები“

კომ. 4 მოქ., გადმოკეთ. კ. მესხის მიერ.

ადგილების ფასები 5 კ. 25 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ნ. გოცირიძე.

ადმინისტრატორი კოსინკოვი.

კავკასიის ქალთა საზოგადოება

22 იანვარს მართავს „კრუჟოკში“ ლიტერატურულ მუსიკალურ საღამოს

ა. ჩეხოვის

სახსოვრად

მონაწილეობას იღებენ: არტისტიქალი რუსულ ოპერისა ნიკიტსკაია-კოლოტოვა, ლიჩკუსი, მურავიოვა, ნიკონოვა, ედგარდესი; ბ-ნნი იონესიანი, პალმოვი, ნიკოლსკი, მისტროვი, სემიგალოვი, კაპანაკოვი, შემუევი.

დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები 55 კაპ.—2 მ. 10 კ—მდე. იყიდება თვით „კრუჟოკში“, შვეიცართან. (1—134—1)


# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 იანვარი.

## არჩევნები ინგლისში

**ლონდონი.** ვიკეს ოლქში (შოტლანდია) ლიბერალებმა გაიმარჯვეს. ირლანდიაში აირჩიეს ბრიენის ორი თანამოაზრე, სულ აირჩიეს 273 ლიბერალი, 271 უნიონისტი, 41 მუშათა პარტიის წევრი და 82 ირლანდიელი, მათ შორის ბრიენის 11 თანამოაზრე.

## საზღვარ-გარედ

**პარიზი.** გაზეთები „ჟურნალი“, „პტი-ჟურნალი“ და „რესპუბლიკ ფრანსეზი“ შიშობენ, რომ საბერძნეთის ეხლანდელმა მდგომარეობამ ევროპის მშვიდობიანობა არ დაარღვიოს. გაზეთების აზრით ცუდი ნიშანია, რომ საფრანგეთში ზორბასი და მიაულისი, სამხედრო და საზღვაო მინისტრებად დანიშნეს, აგრეთვე კრიტეს პატრიოტ ვენზელოსის მოქმედება და ოსმალეთის შეიარაღება.

**სოფია.** სოფიის უნივერსიტეტის პროფესსორებმა კრება გამართეს. კრებამ განიხილა სალონიკის სამხედრო სასამართლოს მოქმედება. უკანასკნელ დროს ამ სასამართლომ ბევრ მაკედონელს სიკვდილი გადაუწყვიტა. კრებამ რეზოლიუცია გამოიტანა. ეს რეზოლიუცია ოსმალეთის ელჩს გადაეცა. რეზოლიუციაში ნათქვამია: გულწრფელად მოწადინებულნი ვართ და საჭიროდაც მიგვაჩნია, რომ ოსმალეთს და ბოლგრიას მეგობრული განწყობილება ჰქონოეთ. ამასთან ვფიქრობთ რომ მხოლოდ გონივრულ და ბრძნულ მოთმინებას შეუძლიან მშვიდობიანობის დამყარება. კაცთ-მოყვარეობის და ორთავე სახელმწიფოების ინტერესების სახელით მივმართავთ ოსმალეთის მთავრობას და ვსთხოვთ, რომ სალონიკის სამხედრო სასამართლომ შეასუსტოს თავისი სასტიკი მოქმედება.

**პეორია.** (ილინოისის შტატი). ბარტონვილიიდან დეპეშით იუწყებიან: ქვა-ნახშირის მაღაროებს ცეცხლი უკიდია. მუშები გადარჩნენ.

**დრეკსბორო.** (კენტუკის შტატი). ქვანახშირის მაღაროებში აფეთქება მოხდა. ჯერ-ჯერობით ამოიღეს 20 მუშის გვამი მაღაროებში დარჩა 40 კაცი.

**მაინისო-ფრანკფურტი.** სოფლის მეურნეთა ცენტრალურ შემნახველ კასის კასირმა 150,000 მარკა გაფლანგა.

**ათინა.** 20 იანვარს შესწყდა დეპუტატთა პალატის სხდომები. პალატის განსაკუთრებული სხდომები დაიწყება პირველ თებერვალს.

**ვენა.** გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებული გაზეთები სწერენ: ბალკანეთზედ მოსალოდნელია ცუდი ამბები, ამიტომ ევროპის მშვიდობიანობისთვის საჭირო სახელმწიფოების დაკავშირება და დაახლოვება. რუსეთ-ავსტრიის დაახლოვებას და შეკავშირებას აუცილებელი საჭიროება მოითხოვსო.

**ბერლინი.** მთელი პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საბერძნეთის საქმეებს და შიშობს, რომ საბერძნეთის ეროვნულ კრებას ცუდი შედეგი არ მოჰყვეს. საქმეში ჩახედულ წრეების აზრით, სასურველი არ არის რომ საბერძნეთის ეროვნულ კრებაში კრიტეს წარმომადგენლებმაც მიიღონ მონაწილეობა. სახელმწიფოები და კერძოდ ოსმალეთი ამის წინააღმდეგი არიანო. თუ კრიტმა ეროვნულ კრებაზე თავისი წარმომადგენლები გაგზავნა, ოსმალეთი ფესსალიაში ჯარს გაგზავნის, რაიც საბერძნეთისთვის კარგი არ იქნებაო.

**დრეკსბორო** (კენტუკის შტატი). შუადღის 12 საათამდის მაღაროებიდან ამოიღეს 35 კაცის გვამი. ამას გარდა მძიმედ დაშავებულია 20 კაცი. ზოგიერთების მორჩენა საეჭვოა.

**სტამბოლი.** სინოდს და პატრიარქ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება თანდათან ძლიერდება. პატრიარქი ხელს აღარ აწერს. ბერძნები ორ ბანაკად გაიყვნენ. იმ შემთხვევაში თუ პატრიარქმა სინოდის წევრად არ დაამტკიცა მიტლენის მიტროპოლიტი, მაშინ სინოდში გადაწყვეტილია წინადადება მისცენ თავისით გადადგეს, რომ ამით თავიდან აიცილონ გადაყენება.

## რუსეთი

**ჰელსინგფორსი.** დაიწყო სეიმის არჩევნები. გამოცხადდა 20,532 უნდა გამოცხადებულიყო 62,326 კაცი.

**ასტრახანი.** ნაურზალში შავი ჭირით ორი კაცია ავად.

**სმოლენსკი.** გაიხსნება სასულიერო სემინარიის მესამე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც შარშან, არეულობის გამო დაიკეტა. უკან მიიღებენ 43 დათხოვნილ მოწაფეს.

**ვალკი.** საერობო კრებამ დაადგინა თვალყური ადევნოს მემამულეების ლიკვიდაციას და თვითეულ შემთხვევაში მემამულეებისგან შეიძინოს სახლები. ამ სახლებში მოათავსებენ სკოლებს.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტის თავისუფალ-მსმენელ ქალებს უფლება მიეცათ სტუდენტებთან ერთად უნივერსიტეტში ეგზამენი ჩააბარონ, როგორც ექსტერნებმა. გამოცდის წესებს შეიმუშავებს საერო განათლების მინისტრი.

**ლიბავა.** სამხედრო-საზღვაო სასამართლომ განიხილა 10 მატროსის და 6 გარეშე პირის საქმე. ბრალდებოდათ სამხედრო ორგანიზაციის დაარსება. სასამართლომ გადაუწყვიტა: ათს—გადასახლება, სამს სატუსაღო, სამი გაამართლა.

**ვარშავა.** ნოვოლიპიეს ქუჩაზედ უბნის ზედამხედველს უნდოდა დაეპატიმრებინა უცნობი. უცნობმა რევოლვერი ესროლა უბნის ზედამხედველს და ხელში დასჭრა. ბოროტ-განმზრახველი დააპატიმრეს. მას აღმოაჩნდა სამი რევოლვერი. გაჩხრიკეს უცნობის სახლი, სადაც პოლიციამ იპოვა რამდენიმე რევოლვერი, პატრონები, ბეჭდები და საპასპორტო ბლანკები.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**სხვა და სხვა კანონ-პროექტები.**

დღესასწაულების შემდეგ კვლავ დაიწყო სახელმწიფო სათათბიროს სხდომები. პირველი სხდომა მოხდა 20 იანვარს. სათათბირომ განიხილა რამდენიმე წვრილმანი კანონ-პროექტი.

სამოცმა დეპუტატმა წინადადება შეიტანა, სათათბირომ შეიმუშაოს დროებითი წესები უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ. სახალხო განათლების კომისიაც მიემხრო ამ წინადადებას, სამაგიეროდ მთავრობის წარმომადგენელი წინააღმდეგი გახდა. სწავლა-განათლების მინისტრის ამხანაგმა ულიანოვმა განაცხადა: მაგ წინადადებას ვერ მივიღებთ, იმიტომ რომ მინისტრთა საბჭომ უკვე მოიწონა სწავლა-განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი ახალ საუნივერსიტეტო წესდების, ხოლო ამ წესდებაში შეტანილია დაწვრილებითი წესები უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების შესახებაო. მიუხედავად ამისა, სათათბირომ მაინც დაადგინა, მიანდოს სათათბიროს კომისიას შესაფერ კანონ-პროექტის შემუშავება.

როგორც ვიცით, შარშან ორასი წელიწადი შესრულდა პოლტავის ბრძოლის შემდეგ. 130 დეპუტატმა წინადადება შეიტანა სათათბიროში, ამ მოვლენის აღსანიშნავად დაარსდეს რუსეთში პეტრე დიდის სახელობის სააგრონომიო ინსტიტუტი. მთავრობის წარმომადგენელმა სთქვა, მთავრობა კისრულობს შესაფერ კანონ-პროექტის შემუშავებასაო. შუამდგომლობა ამ გვარ ინსტიტუტის დაარსების შესახებ უკვე აღუძრავთ სარატოვის, ეკატერინოსლავის და ვორონეჟის ერობებს. ადგილს შემდეგ აარჩევენ.

39 დეპუტატმა საინტერესო წინადადება შეიტანა—მოისპოს ადმინისტრატიულის წესით პოლიტიკურების გადასახლებაო. მთავრობის წარმომადგენელმა, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა განაცხადა—მთავრობა ვერ იკისრებს მაგის შესახებ კანონ-პროექტის შემუშავებას, რადგან ეს საკითხი ნაწილია საგანგებო წესების შესახებ საკითხისა, ხოლო საგანგებო წესების შესახებ კანონ-პროექტი უკვე შეტანილ იქმნა სათათბიროშიო. სათათბირომ დაადგინა, მიანდოს კომისიას შესაფერ კანონ-პროექტის შემუშავება.

ტრუდოვიკებმა ერთხელ კიდევ მოაგონეს სათათბიროს, რომ დროა განხილულ იქმნას კანონ-პროექტი სიკვდილით დასჯის შესახებ. როგორც ვიცით, ეს კანონ-პროექტი სათათბიროს კომისიას აქვს გადაცემული. ტრუდოვიკებმა წინადადება შეიტანეს, კომისიამ ორი კვირის განმავლობაში წარუდგინოს თავისი დასკვნა სათათბიროს. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კადეტებმა და ს.-დემოკრატებმა, მაგრამ ცენტრი და მემარჯვენენი დიდი წინააღმდეგნი გახდნენ. ოქტომბრისტმა მუშინსკიმ სთქვა: მორიგი კანონ-პროექტებია და ჯერ ისინი უნდა განვიხილოთო. ოქტომბრისტები საყურადღებო საქმედ არა სთვლიან ამდენ ხალხის ჩამოხრჩობას, რაც უკიჟინა მათ ტრუდ. ბულადმა.

სათათბირომ 114 ხმით 113 ხმის წინააღმდეგ არ მიიღო ტრუდოვიკების წინადადება.

# ქართული საისტორიო მწერლობა

(დასასრული *)

გიორგი მეთერთმეტისა და ვახტანგ მეექვსის დროს მთელ ქართლის ყოფა-ცხოვრებასა და მწერლობას გულწრფელი შემატკივრები გაუჩნდა და თვით განახლების გზას დაადგა პოლიტიკურ პირობების უკულმართობის მიუხედავად. ამ დროს საბა სულხან-ორბელიანმა შეადგინა თავისი ძვირფასი ქართული ლექსიკონი. ვახტანგ მეექვსემ შექმნა „დასტურლამალი“, შეაკრებინა ქართულ სამართლის ძეგლები“ და თავის დროინდელი **„სასამართლოს წიგნიც“** დაურთო. მანვე მიანდო ისტორიკოსთა კომისსიას „ქართლის ცხოვრების“ შესწორება, შევსება და გაგრძელება. ამ კომისიის მუშაობის და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ბ-ნ ექვ. თაყაიშვილს, რომლის გამოკვლევაც ამ საგნის შესახებ დაუფასებელია („Описаніе рукописей общества распостр. грамотности“ წიგნი II, ნაწილი პირველი).

უმთავრესს მიზნად ვახტანგის კომისსიას ჰქონდა საქართველოს ისტორიის დაწერა, გიორგი მეხუთე ბრწყინვალიდან მოყოლებული, რომლის შემდეგაც „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც ეტყობა, ცნობები აღარ მოიპოვებოდა. მათ უნდა გამოერკვიათ აგრეთვე, როგორ და როდის დაიყო გაერთიანებული საქართველო რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ, რა ჩამომავლობისა იყვნენ საქართველოს სთვითეულ ნაწილის მბრძანებელნი და რა საზღვრებით იყო შემოზღუდული მათი საბრძანებელი. როგორც თვით კომისსია გვამცნობს იმ ხელნაწერებში, რომელიც ბ-ნ ჯანაშვილს ბუკინისტისაგან უყიდნია, ისტორიკოსებს ხელთა ჰქონიათ მხოლოდ „ბაგრატისა და კონსტანტინეს ცხოვრებანი“. დანარჩენისათვის მათ უსარგებლნიათ საქართველოს სხვა და სხვა სამონასტრო საუთითა და კინკლოსებით (ქრონიკებით), ეს აგრეთვე სპარსულ და სომხურ წყაროებით, დასასრულ, თანამედროვეთა ზეპირ-გადმოცემით.

რომ გავითვალისწინოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ვახტანგის კომისსიის ამ შრომას, საკმარისია წავიკითხოთ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიის პირველი ნაწილი. რასაკვირველია, ამ ისტორიკოსთა ნაღვაწი ბევრს შეცდომას შეიცავს, მაგრამ თვით საქმე იმდენად დიდი იყო და მისი თაოსნობა იმდენად დიდ-მნიშვნელოვანი, რომ ეხლა ამ კომისსიის ღვაწლის გათვალისწინება თითქმის შეუძლებელია. სწორედ „ქართლის ცხოვრების“ შესწორებამა და დამთავრებამ გაუადვილა იმ დროინდელ ქართველებს შესწავლათ თავიანთი ისტორია, ამას კი ქართულ ისტორიულ მწერლობის აღორძინება მოჰყვა.

უკვე სეხნია ჩხეიძის თხზულებას ატყვია დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ცხადი გავლენა. ვახტანგის კომისსიის შეცდომების გამო ვახუშტიმ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების შესწორება განიზრახა და კიდევაც განახორციელა. თავის ნაწარმოების წინასიტყვაობაში ვახუშტი არკვევს რა, და რა მსხვილი შეცდომა მოუვიდა ამ კომისსიას და რა საბუთების დახმარებით ასწორებს ამ შეცდომებს. ვახუშტის თავისი ისტორია დაყოფილი აქვს იმდენ ნაწილად, რამდენი სამეფო და სამთავროც არსებობდა იმ დროს. თვითეულ კუთხის ისტორიის წინ უძღვის საუცხოვო გეოგრაფიული აღწერილობა, რომლის მსგავსი ჩვენს მწერლობაში არა მოიპოვება-რა, მხოლოდ მთელ თხზულებას წინ უძღვის საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილების საზოგადო მიმოხილვა და ცნობები წარმართობის დროინდელ სარწმუნოების შესახებ, ამგვარი მიმოხილვაც ქართულ მწერლობაში პირველი მაგალითი იყო და იმ დროის შესაფერისად საუცხოვოდ დაწერილი. ვახუშტის უმთავრესი ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს წარსულის შესწავლის დროს მკვეთრს, საბუთებზე დამყარებულს კრიტიკულ მეთოდს მიჰმართა. ამის გამო ვიღაც უცნობ ავტორს, რომელსაც უნდა ეცხოვრა უეჭველია 1760 წლამდე, ვახუშტის კრიტიკულის შენიშვნების მიხედვით ხელმეორედ გადაუკეთებია „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება. ამ ხელმეორედ გადაკეთებულ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ამ უცნობს გადამკეთებელს ყოველთვის თვით საბუთებიდან აქვს ხშირად სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ცნობები და, როგორც შედარებიდან მტკიცდება, გასაოცარის სისწორით. იმ შემთხვევაში, როდესაც თვით დედანი დაკარგულია, ამ „ქართლის ცხოვრების“ ხელმეორედ გადაკეთებულ გაგრძელებას ცოტა არ იყოს, დედნის მაგივრობა შეუძლიან გაგვიწიოს.

სეხნია ჩხეიძემ დასწერა ისტორია, რომელსაც სათაურადა აქვს „ცხოვრება მეფეთა მსმენელთათვის არა უნდობი, ამბით უცხოთა ქვეყანისათა არა მარტივად ქართლისა ჩემის თვალთ ნახული, ზოგიერთი მნახავთაგან სმენითა“ ეს თხზულება შეიცავს ოთხმოცდა ექვსის წლის ამბავს (1653—1739) ავტორს შესავალში დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებიდან ამოღებული სიტყვები ჩაურთავს. ხოლო თავისი მოთხრობა მატიანისებურადა აქვს დალაგებული. მისი ისტორია გვისურათებს მართლაც მეფეთა ცხოვრებას და, როგორც თვით აღნიშნავს, უცხო ქვეყნის ამბავს გულუხვად მოგვითხრობს. ეს იმით აიხსნება, რომ თვით ქართლის მეფეები იმ დროინდელ უკულმართ პოლიტიკურ პირობების გამო თავიანთ სიცოცხლესა და ძალ-ღონეს სპარსეთში ერანის ხელმწიფეთა სამსახურს ალევდნენ. 1707 წლის შემდეგ სეხნია ჩხეიძე მოლარეთ-უხუცესად იყო და საუცხოვოთ უნდა სცოდნოდა თავისი ქვეყნის ამ დროინდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. ამისდამიუხედავად მისი ცნობები სამშობლო ქვეყნის შესახებ მეტად მოკლე და უფერულია. იმ დროს როდესაც იგი აღტაცებით აღგვიწერს მხედრობას, რაინდობას, ლაშქრობასა და ნადირობას, ძალიან ცოტას გვამცნევს თავის ქვეყნისა და მეფეების ბედის უკულმართობისა და გაჭირვების შესახებ. იმის თხზულებას საზოგადოდ გასაოცარი უდარდელობა, გულ-ცივობა და ქარაფშუტობა ეტყობა: ქვეყანა უკიდურესს განსაცდელში იყო და იმას კი ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს, ყოველს შემთხვევაში ჩხეიძის თხზულებასაც ჩვენის ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიის შესასწავლელად მნიშვნელობა აქვს.

პაპუნა ორბელიანი მე-18 საუკუნის საუკეთესო ქართულ ისტორიკოსად უნდა ჩაითვალოს. იგი თითქოს განგებ ისე იწყებს თავის ისტორიას, რომ სეხნია ჩხეიძის უგულობა უფრო ცხად ჰყოს პ. ორბელიანი სათაურშივე აღნიშნავს, რომ ისტორის დაწერა სწორედ იმიტომ განუზრახავს, რომ მომავალ თაობას კარგად სცოდნოდა, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო პოლიტიკურად და ქონებრივად მთელი ქვეყანა უცხოელ ბატონობისა და მძიმე მოხარკეობის წყალობით. მას სურდა აეხსნა ჩამომავლობისათვის, თუ ვინ და რა იყო ამგვარ მდგომარეობის მიზეზი. პაპუნა ორბელიანის თხზულება შეიცავს ცხრამეტის წლის ამბავს—იწყობა 1739 წლით და თავდება 1759 წლით და მეტად ვრცელ და შინარსიან ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, არავითარი წინასიტყვაობა არ უძღვის და თვით მოთხრობაში მრავალი ქრონოლოგიური ცნობაც მოიკრიბება. პ, ორბელიანის ისტორიაში საუცხოვოდ არის დასურათებული პოლიტიკური მდგომარეობა, ეკონომიური ვითარება და ქართლ-კახეთის თან და თანი აღორძინება. მოყვანილია საუცხოვო ცნობები სახელმწიფო წესწყობილების სამეფო დარბაზობის და საეკლესიო მართვა-გამგეობის შესახებ. მხოლოდ პაპუნა ორბელიანის ისტორიაშია შენახული ვრცელი ცნობები იმ ეკონომიურ-ქონებრივ გაჭირვების შესახებ, რომელმაც სპარსელების ბატონობის დროს ქართველები უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო. მთელი მისი ნაწარმოები თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ღრმა მამულის შვილურ გრძნობით და სამშობლოსადმი სიყვარულით.



# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **წარმოდგენის გადადება.** მარიამ ივანეს ასულის დემურიას უეცარ გარდაცვალების გამო გუშინდელი სახალხო წარმოდგენა „ციმბირელი“ გადაიდო დღეს საღამოსთვის. გუშინდელი ბილეთები დღეს გამოდგება.

✦ **20,000 მანეთის შეწირვა.** განსვენებულ ი. ს. ყურლანოვისა და პ. ი. ალიხანოვის მემკვიდრეთა ვექილმა ამ დღეებში განცხადება შეიტანა ტფ. ქალაქის გამგეობაში და აცნობა, რომ აღნიშნულ პირთა მემკვიდრენი, 1901 წლის 15 თებერვალს დადებულ ხელ-წერილის თანახმად, მზად არიან შეიტანონ ქალაქის კასაში 20,000 მან. იმ პირობით, თუ ეს ფული მოხმარდება რაიმე განმანათლებელ დაწესებულებას მე-10 და მე-9 საპოლიციო ნაწილებში. გამგეობამ მიიღო ეს შემოწირულება.

✦ **ნიხრის დამტკიცება.** ტფ. გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ქალაქის საბჭოს 28 დეკემბრის დადგენილება ხორცის ახალ ნიხრის შესახებ.

✦ **ჩეხოვის საღამო.** კავკ. ქალთა საზოგადოება დღეს, 22 იანვარს, „კრუჟოკის“ სადგომში მართავს საღამოს.

✦ **არჩევნების არ დამტკიცება.** ამას წინად, როგორც ვიცით, სამღვდელოების კრებამ ტფ. სანთლის ქარხნის ზედამხედველად აირჩია მღ. მიქელაძე, ხოლო საქმის-მწარმოებლად—ლ. ნათიძე. ეგზარხოსის მოადგილეს არ დაუმტკიცებია არჩევნები. ახალი არჩევნები მომავალ წელს მოხდება თურმე (ნ. რ.).

✦ **გზათა ოლქის უფროსის თანაშემწე.** კავკასიის, გზათა ოლქის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა ინჟენერი ადრიანოვი.

✦ **ახალი კლუბი.** როგორც „ნ. რ.“ გადმოგვცემს, დეპუტატთა საკრებულო წინააღმდეგია თურმე იმისა, რომ კლუბს დაეთმოს შენობა თავად-აზნაურობის ქარვასლაში, თეატრის ქვერდით.

✦ **კითხვები.** ავჭალის აუდიტორიაში კვირას, 24 იანვარს, მოზრდილთათვის წაიკითხავს ქ-ნი ახალშენიშვილისა: „ნიშანს“ გარშინისას, მცირეწლოვანთათვის ქ-ნი ციცქიშვილი „ივანემ რა ჰქმნა“ გოგებაშვილისა. საექიმო საზოგადოების შენობაში მოზრდილთათვის წაიკითხავს ქ-ნი ასათიანისა „ხე სიმართლისა“, ქ-ნი ჟორდანია: „მამაცი მკერვალი“ ანდერსენისა.

✦ **ქუჩების მოწეს რიგება.** ტფ. საგუბერნიო სამმართველოს სამშენებლო განყოფილებამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ოქმები შეუდგინოს თავ. თუმანიშვილს, პახუნოვს, სარაჯიშვილს, ყორღანოვს, სირინკოსა, ხუნდაძესა და სხვა ი...

# ამონაკვნესი

(ვუძღვნი მათ, ვისაც უკანასკნელი და უდიდესი პატივი ვერ ვცი—ერთი მუჭა მიწა ვერ მივაყარე).

მოკვდა ადამიანი. თქვენ, იქნებ, იცოდეთ რა არის ადამიანის სიკვდილი, ჩემთვის კი ზარდამცემ ამბვისა, საშინელ სურათისა და აუტანელ მდგომარეობის მეტი არა არის რა გასაგები.

ადამიანი თვალ წინ მყავდა. მთელს მის არსებაში არა მარტო მის აზრებს, გრძნობებს, არა მარტო იმის თვალებს, შუბლს ვუცქერდი, არამედ ჩემსასაც. რამდენი ჩემი გრძნობა უნებლიეთ შეჭრვია იმის გრძნობებში, რამდენი აზრი გამოჭედილა ჩემს აზრებთან შეტაკებაში. რამდენჯერ მოუხიბლავს ჩემი არსება პლასტიურ მიმოხვრას, ტკბილ ხმას, გონიერ აზრს...

და ადამიანი მოკვდა... გადიქცა ლეშად, წყლად, ტალახად, ყველიფრად რათიც კი გნებავთ...

მაგრამ მაინც სიკვდილი რას ნიშნავს?

„მიწა იყო და მიწად იქცა“?! ადამიანი მიწა თავის დღეში არ ყოფილა. ადამიანი აზრია, გრძნობაა, სიყვარული და სიძულვილი, აღტაცება და სულდაბლობა, სინიდისი და უნამუსობა...

მოკვდა ადამიანი, მაგრამ რა დეამართა?

დაირღვა სხეული?! სახლი რომ დაიქცევა დაგვრჩება შემადგენელი ნაწილები ქვა, ფიცარი, რკინა, შუშა... ადამიანი მოკვდა. დარჩა ტალახი, წყალი, ძვალი... ლეში... სადღაა თაყვანის ცემა ლეონარდო და ვინჩისადმი და ზიზღი ტერსიტისადმი, სადღაა სიყვარული ცის ლაჟვარდისა და სიძულვილი აშმორებული ტბისადმი.

მოკვდა ადამიანი...

საშინელებაა სიკვდილი, საზიზღარი კი ის მდგომარეობა, რომელშიაც მიცვალებული, თითქმის ყოველთვის ვარდება.

სადაც უნდა მოკვდეს ადამიანი ყოველთვის გაჩნდება ყვავი. ყვავი ან ფრთოსანი თვალების ამომკორტნი, ან ყვავი,—ადამიანი.

ფრთოსანი ყვავი სჯობია ათასწილ ყვავს—ადამიანს. შავი ყვავი თვალებს ამოგკორტნის, და გათავდა.

ყვავი-ადამიანი კი სძიძგნის მთელს სულს, ყოველისფერს, რაც კი გაქრა და რაც კი დარჩა ადამიანისგან, ეძებს რასმე სასარგებლოს, სახეიროს.

ნათესავები—მემკვიდრეობას.

მღვდელი—საწირავს.

ამხანაგები—ისინიც კი ძველ ცოდვებს და დამსახურებას. საუკეთესო მდგომარეობაშიაც კი, როცა მიცვალებულს არაფერი რჩება, მაშინაც კი ჩნდებიან ამხანაგები და მისი სახელით უნდათ რაიმე საქმე მოაგვარონ. თვით ცხედრის წინაშე ანგარიშობენ თუ რა სარგებლობა შეიძლება კიდევ გამოიტანონ მიცვალებულისაგან.

ვის ახალი დასის დაარსება სურს.

ვის სახელი სურს მოიხვეჭოს ლამაზი სიტყვით.

უტყვი ცხედარი ყველასთვის სასარგებლოა.

სიკვდილის დღე, დღე დასაფლავებისა დღეა მიცვალებულისა, საშინელის საიდუმლოებისა.

ყოველი ზედ-მეტი სხვა ანგარიში მკრეხელობაა. მოკვდა ადამიანი. ადამიანი მოკვდა და ნუთუ ორიოდე დღე არ ერგება პირადათ მას?!

ან კი რა გატირებთ ეხლა? როცა თქვენს წინ ლეშია, ტალახი, მიწა და არ იცით სად გაქრა, სად წავიდა, რა დაემართა გრძნობს აზრს, მხიარულებს და ტანჯვას?

როცა მწუხარეთ დაიარებოდა ჩვენ შორის, ნიშნად თანაგრძნობისა რათ არ გაჰყევით ერთი ორი ნაბიჯი და არ განუბნიეთ მწარე ფიქრები? რათ არ გაართეთ, რათ არ შეუმსუბუქეთ „მძიმე ტვირთი“ ლაღობით და მეგობრობით?

როცა ავადმყოფი ცივ ოთხსკედელს შესცქეროდა და ერთი თვალის მოსატყუებელი, ერთი სასიამო სურათი არ ახლდა ირგვლივ; სიცხით აღზნებული ოცნება კი ათასს გაბრწყინებულ სანახაობას უხატავდა... გული უფრო უსკდებოდა და სიცოცხლე უფრო სძულდა—უყვარდა... რატომ მაშინ ერთი პატარა ყვავილი მაინც არ გაუგზავნეთ ნიშნად სიყვარულისა. და სტკბებოდა, დათვრებოდა ყნოსვით, და ტკივილები ოდნავ შეუმსუბუქდებოდა.

როცა მოსძულდა „სულის ობლობით“ ცხოვრება, ნიშნად აღტაცებისა რად არ შემოეხვიეთ ირგვლივ?

ნიშნად პატივსცემისა რათ არ დაგქონდათ მისი სურათი?

თუ თაყვანს სცემდით, რათ არ უთხარით გასამხნევებლად, რათ არ გამოუცხადეთ მადლობა?

მოკვდა ადამიანი და ეხლა რათ იხოკთ პირს? რათ მოათრევთ ამ გვირგვინებს? რათ გაიდებთ ზურგზე ამ მძორს?

შეიძლება, სწორეთ იმიტომ რომ, რაც უნდა გაჰიმოთ სიტყვა, რაც უნდა ითვალთმაქცოთ მკვდარი—ადამიანი აღარ არის!

—

მწუხარებს—მარტოობა, ფარდებ ჩამოშვებულ ოთახში მყუდროება და სიბნელე.

მხიარულებას—საზოგადოება და სინათლე.

სიხარულის თანამოზიარე არ მყოლია; თავს მაინც ბედნიერად ვრაცხ: მწუხარების დროს ყოველთვის მტოვებენ ხორც შესხმულნი.

მივჯდები კუთხეში. ბნელა. სურათები წამებისა შეიცვლებიან მწუხარების წამებად. ძვირად გაჰკრავს მკრთალი სხივი სიამოვნების, მაგრამ საერთო წყვდიადი სულის მაშინვე ჩანთქავს.

—

აი, ქორის კლანჭებში წრიპინობს და თრთის წიწილი. ძლიერი ფრინველი გამხმარ მაღალ მუხის წვერზე ზის, ერთს ჩაჰკრავს ნისკარტს წიწილს, გადაჰყლაპავს ლუკმას და გადმოჰხედავს ქვევით კრუხს. კრუხი გააფთრებული დარბის, დაძრწის და არ იცის, რა მოიგონოს.

—

გველი, ჭრელი მოქნილი გველი, შემოჰხვევია ირემს ყელზე და... ჰკოცნის თუ კბენს? ირემი გარბის, თვალებ გადმოვარდნილი, გაოცებულ-გაცოფებული, გადარეული, ქშენს, პირიდან დორბლი ვარდება, ოფლის ღვარი გადის... აი, ეს-ეს არის წაიქცევა მოქანცული. ჭრელი, მოქნილი გველი ხან ზურგზე გადასრიალდება, ხან პირზე გადუსობს თავს და... ჰკოცნის თუ კბენს?

—

ნახტომი შეშლია ჯიხვს. ნაპრალთა შორის მხოლოდ მოასწრო რქებით ჩამოჰკიდებოდა სალს კლდეს და დამსხვრევას გადარჩა; მაგრამ რა? კვალ და კვალ მოსდევს მონადირე, ესმის ფეხის ხმა... გააქნიოს ერთი რქები და უფსკრულს მისცეს თავი, რომ წვეტიან ქვებზე ათას ნაწილად დასკდეს, თუ უცადოს მონადირის ტყვიას? რომელი სჯობს? ერთი და ერთი გარდუვალია. ცივი ოფლი ასხამს, მაგრამ ჯიხვს უკვე გონება დაკარგული აქვს. ფერ-მკრთალ სიკვდილს აღარ ემძება და მხოლოდ ცდილობს უფრო ხერხიანად ჩამოეკიდოს, რომ კისერი არ ატკინოს ტანის სიმძიმემ.

—

დამარცხდა ჯარი. მირბის უკანასკნელი მეომარი. დაჭრილი ძმას უძახის:

მომკალი, მაინც სიცოცხლის აღარა ვარ... გადამარჩინე მტარვალთა წამებისაგან, უნაყოფო სირცხვილისაგან... არ დაივიწყო სისხლის აღება...

— ტყვია არ მაქვს...

— მაშ, ხანჯალი ჩამკარ...

— გატეხილია...

— ქვა დამარტყი...

და ძმაც ვეებერთელა ლოდს მრთოლარე ხელით დასთხლეშს შუბლში... ძმის ტვინი სახეში მიასხამს, მაგრამ არ კვდება... ძმა ერთ ორს ბიჯს გადასდგამს და გაშტერებული ჩაჯდება. დაჭრილი, თავ-გახეთქილი კი იკლანკება და იღვლერჭება.

—

თქვენ ცხედრებად გადიქეცით. ერთი ნაწილი ჩემი გულის თან გაგყვათ. დარჩენილის გასამართლებლად ვწერ ამ სტრიქონებს. უკანასკნელი უდიდესი ვალი ვერ მოვიხადე თქვენს წინაშე: ერთი მუჭა მიწა ვერ მოგაყარეთ. ეხლა გიგზავნით ამ თაიგულს ჩემის ცრემლებით დახატულს. გამიბათილეთ მოვალეობა! პირნათლად თუ დავრჩი, მომიგონეთ, მომიკითხეთ, საყვარელო მიცვალებულნო! სტრიქონებო, საღამოს ჟამსა ხართ თქვენ ამონაკვნესი. კავშირად იყავით ჩემსა და ფერფლთა შორის. გასწით მოეფინეთ ქვეყნად და მოუტანეთ საყვარელ აჩრდილთ ხსოვნა და პატივისცემა, ჩემს სულს—სინათლე და სიხარული. იყავით მიცვალებულთა გვირგვინათ, ცოცხლის მალამოდ!

ტკბილნო აჩრდილნო, მე ჩემ...

სახლის პატრონებს, რომელთაც სავალდებულო დადგენილებანი არ შეასრულეს და მით ხელი შეუშალეს ვერის დაღმართისა, იოანე ღვთისმეტყველისა და სოლოლაკის ქუჩების სასურველად მოწყობას. გარდა ამისა, საამშენებლო განყოფილება წინადადებას აძლევს გამგეობას მაგალითი მისცეს კერძო მესაკუთრეებს და თვითონაც შეუდგეს ვერის მოედნის იმ ნაწილის მოწეს-რიგებას, რომელიც ქალაქის საკუთრებას შეადგენს.

◆ **სამუზეუმო თანხისთვის მოწოდება.** 18 იანვარს მოხდა მუზეუმის და ბიბლიოთეკის ამშენებელ კომისიის სხდომა. კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა შეიმუშაოს შესაფერი მოწოდება.

◆ **დაპატიმრება.** 20 იანვარს პოლიციამ დააპატიმრა ტფ. მოქალაქე გიორგი გორგასანიძე, რომელსაც ჰბრალდება იოსებ კაჩაურის მოკვლის განზრახვაში მონაწილეობა, წყნეთის ქუჩაზე მეტრამპაჟ გარშინინის მოკვლა, ბელინსკის ქუჩაზე იარაღით ხელში პოლიციის წინააღმდეგ მოქმედება და ორენბურგის გუბერნიიდან, სადაც იგი გადასახლებული იყო, ნება დაურთველად დაბრუნება. გორგასანიძეს აღმოაჩნდა ჭრილობა. მან განაცხადა, პოლიციელებმა დამჭრეს ბელინსკის ქუჩაზე შეტაკების დროსაო.

◆ **საპრემიო თხზულება.** როგორც ვიცით გრიგოლ დადიანის პრემიის მისაღებად მსურველთ თხზულებანი უნდა წარედგინათ წ.-კითხვის საზოგადოებისთვის მიმდინარე წლის 1 იანვრამდე. ამ რიგად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მხოლოდ ერთი თხზულება მიიღო. პრემიის მისაღებად ბ-ნმა პეტრე ჭარიამ გამგეობას წარუდგინა თავისი ქართულ მეგრული ლექსიკონი.

◆ **გუბერნატორის ცირკულიარი.** ტფ. გუბერნატორმა ცირკულიარული მოწერილებანი დაუგზავნა მაზრის უფროსებს და ტფ. ქალაქის მოურავს. გუბერნატორი სწერს, ხშირად ქალაქის თვით-მმართველობანი დროზე არ აძლევენ ბინას ფულს იმ ჯარის კაცებს, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათო. გუბერნატორი ცირკულიარით უბრძანებს ქალაქის თვით-მმართველობებს უსათუოდ დროზე მისცენ ხოლმე ფული ჯარის-კაცებს. ვინც ამას არ შეასრულებს, პასუხის გებაში იქნება მიცემული.

◆ **პოლიციელების იარაღი.** ტფ. გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, ორი კვირის განმავლობაში შემატყობინეთ, ქალაქის გამგეობამ რა იარაღის შეძენა გადაწყვიტა პოლიციის მოხელეებისათვისო. როგორც მკითხველებმა იციან, ამას წინად 40,000 მანეთის გადადება მოსთხოვა ადმინისტრაციამ ქალაქის თვითმართველობას პოლიციის იარაღის შესაძენად.

◆ **თამარ ძნელაძე.** სკრიპკის დამკვრელს თამარ ძნელაძეს, როგორც „ზ“. გადმოგვცემს, მოსკოვის კონსერვატორიაში საუცხოვოდ ჩაუბარებია საკონკურსო გამოცდა 200 მანეთიან სტიპენდიის მისაღებად.

◆ **ობლიგაციის კუპონების გასაღება.** 2 კვირის წინად ერევნის მოედანზე სტეფანე ალავერდოვის ფეხსაცმელის მაღაზიაში მისულა უცნობი კაცი და განუზრახავს ტფილისის მესამე საობლიგაციო სესხის კუპონების დახურდავება. როგორც ვიცით 500,000 მან. ობლიგაციები ქალაქის კასიდან გაიტანეს 1901 წელს 23 სექტემბერს. ალავერდოვს გაუგია, რომ მის მიერ დახურდავებული კუპონი მოპარულ ქაღალდებიდან არის და შესდგომია იმ უცნობ კაცის ძებნას, ვისგანაც კუპონი იყიდა. 19 იანვარს ალავერდოვის ჩვენებით პოლიციელმა დააპატიმრა აღნიშნული უცნობი კაცი, რომელიც აღმოჩნდა ზემო-ნიჩბისის მცხოვრები ნიკოლოზ ხუტაშვილი. ხუტაშვილი გამოტყდა და განაცხადა, კუპონი მივიღე ტფ. მოქალაქის გიგო ამალოვისაგანაო. ამ უკანასკნელმა განაცხადა, კუპონი ქუჩაში ვიპოვნეო.

◆ **შეღავათი ადგილების გამოსყიდვის საქმეში.** ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ქალაქის საადგილ-მამულო კომისიის მიერ წარდგენილი, ხმოსნად ნამყოფის ნ. ზ. ელიავას მიერ შემუშავებული მოხსენება იმის შესახებ, რომ მშრომელ ხალხს, რომელსაც სამოსახლოდ აქვს აღებული ქალაქის ადგილები, შეღავათი მიეცეს საიჯარო გადასახადების გასტუმრების დროს და სხვ. სხვათა შორის ბ ნ ელიავას აზრით, საჭიროა ქალაქი იძენდეს იმ სახლებს, რომელიც აუგიათ საიჯარო ადგილებზე მუშებს და რომელთაც იჯარის ვალის შემდეგ სახლებით სარგებლობა აღარ შეუძლიანთ. კომისიას მცირე ცვლილებანი შეუტანია ელიავას მოხსენებაში. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაიბეჭდოს მოხსენება და განსახილველად წარედგინოს საბჭოს. რაც შეეხება საიჯარო ადგილების გამოსყიდვას, გამგეობამ დაადგინა, მოახსენოს საბჭოს, რომ ქალაქისათვის ამ ჟამად შეუძლებელია ამ გვარ შეღავათების განხორციელება, რადგან ჯერ ერთი ქალაქს ამისათვის არც ფონდი აქვს და მეორე 24 წლის შემდეგ საიჯარო ადგილზე აშენებული სახლი ისე დაძველდება, რომ ფასი აღარ ექნება.

◆ ტფ. სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის უფროსმა აგენტმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა დასამტკიცებლად არჩევანი ტფ. მეეტლეთა მამასახლისისა. მამასახლისად ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა დიდის ხმის უმეტესობით ამ თანამდებობაზე არჩეული ზია ბიბა ბახტიოზოვი.

◆ როგორც აღვნიშნეთ, 18 იანვარს დააპატიმრეს ქიზიყელი დავით ჯაჭვაძე. პოლიციელების ცნობებით, ჯაჭვაძე მცარცველებისა და ტერორისტების ბრბოში იღებდა მონაწილეობას 1906 წელს. თავის ამხანაგებთან სიმონ ბეჟიაშვილსა, ალ. ვართანოვსა ვასილ გოგაშვილსა, გიგო იარალოვსა და სხვებთან ერთად მონაწილეობა მიუღია პორუჩიკ ყაზაროვზე თავ დაცემასა და ორ იაპონურ თოფისა და სხვა ნივთების გატაცებაში. აღნიშნული პირები პოლიციას თავის დროზე დაუპატიმრებია, ჯაჭვაძეკი დამალულა მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ისევ დაბრუნებულა ტფილისში. 20 იანვარს, დილის 10 საათზე, კახეთის მოედანზე ელექტრონის ვაგონი დაეტაკა ქალაქის საყასპოს სალახს არშაკ ღალაქიშვილს და ძლიერ დააშავა. დაშავებული სავადმყოფოში გაჰგზავნეს. პოლიციის მე-4 ნაწილში დააპატიმრეს 24, მე-XI ნაწილში 9 უპასპორტო. მრავალი დააპატიმრეს აგრეთვე ქალაქის სხვა უბნებში.

---

**შეცდომის გასწორება.** „დროების“ 19 იანვრის ნომერში დაბეჭდილია, რომ ავად არის არტისტი დ. გამყრელიძეო. უნდა იყოს ვ. გამყრელიძე.

## მოწერილი ამბავი

**კახეთი.** თუმცა ღვინო წელს კახეთში ცოტა მოვიდა, მაგრამ ფასი მაინც არა აქვს. ამ ჟამად იგი იყიდება საპალნე 50-70 მან. ხუთი-ექვსი თუმანი შედარებით შარშანდელ წელთან, როცა საპალნე 24 მანეთად იყიდებოდა, კარგ ფასად გვეჩვენება, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ვენახზე გაწეულ ხარჯს, იმის მოვლას და შეწამლვას, ეს ფასი ძალიან მცირეა და სრულებითაც ვერ აუენებს თავის ღირებულებას. მაინცა და მაინც წელს ღვინო შესაფერ ფასად უნდა გაუიდულიყო, მაგრამ ისეთ პირობებშია მევენახე ჩაყენებული, რომ იძულებულია ნაკლებად გაასაღოს და დროებით ხელი მოინაცვლოს. თავის თავად ცხადია, რომ ახალ მოსავლის შემდეგ, რამდენიც დრო გადის, იმდენი ღვინის ფასი მაღლა უნდა იწევდეს, რადგან ჯერ ერთი ღვინო თანდათან ცოტავდება და მეორე, რამდენჯერმე წმინდავდება და ქვევრებში გადაღებ-გადმოღებით მისი თვისება უმჯობესდება. ამის და მიუხედავად ამ ჟამად ის ფასი არა აქვს და არც ისეთი მუშტარი ჰყავს, როგორც შემოდგომაზე. გზის უქონლობისა და გადაზიდვის სიძვირის გამო ზამთრობით მუშტარი იშვიათად თუ მოდის და, როგორც ყოველთვის, ეხლაც ღვინის გაყიდვა შემდგარია. მევენახე კი სწორედ ამ დროსაა გაჭირვებული. სოფელს სწორედ წლის გასულს ატანენ ძალას ხარჯის გასასტუმრებლად და ამას გარდა ბევრი სხვა მოთხოვნილებაც უნდა დაიკმაყოფილოს. მემამულეებს (თავად-აზნაურობას), ხარჯის გარდა, სწორედ ზამთარში აქვთ ბანკში ფულის შეტანის ვადა და ისეთი მემამულე კი იშვიათია, რომელსაც თავისი მამული რამდენიმე ბანკში არა ჰქონდეს დაგირავებული.

ამ მდგომარეობაში მყოფმა მევენახემ უნდა როგორმე გაჰყიდოს თავისი ნაწარმოები და ისიც იძულებულია ისევ იმ ჩარჩ-ვაჭრებს მიჰმართოს, რომელთაც გრცლად გაუბავთ თავიანთი ქსელი. საუბედუროდ ამისთანა ჩარჩი კახეთის ყველა სოფელში მრავლად მოიპოვება. ესენი ელოდებიან სწორედ იმ დროს, როცა გლეხს ქვევრებს უბეჭდავენ და გაჭირვებულს მოატანენ თუ არა, ვითომ და სიკეთესაც უშვრებიან, ყიდულობენ მისგან ღვინოს ჩაფობით და საპალნობით ნახევარ ფასად. ასეთ შეგროვილ ღვინოს, მერე ერთბაშად ჰყიდიან სირაჯებზე.

რასაკვირველია, ჩვენ სოფელს რომ პატრონი ჰყავდეს, წვრილი კრედიტი ჰქონდეს, პატარა მაინც გათვითცნობიერებული იყოს, სულ სხვა იქნებოდა. წვრილი კრედიტის საშუალებით, გაჭირვების დროს, შეღავათიანის პირობებით ხელს მოინაცვლებდა და მერე თავის ნაწარმოებს ღირებულ ფასში გაჰყიდიდა. მაგრამ ვინ არის სოფელში ამ საქმის მოთავე? განხორციელება ადვილად შეეძლოთ სოფლის მღვდლებს და მასწავლებლებს, რომ მათ და სოფლელთა შორის ჩინეთის კედელი არ იყოს აღმართული... **ეული.**

## მარიამ ივანეს ასული დემურია

გუშინ დილით ტფილისში სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი მარიამ ივანეს ასული დემურია. განსვენებული ამ ბოლო დროს გულის სისუსტით ავადმყოფობდა. ამ ავადმყოფობას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და ისევე მუშაობდა, როგორც ყოველთვის. გუშინ ღამ ნაცნობ ოჯახში მისულა. მოულოდნელად ავარდნია ავადმყოფობა, მიუწვევიათ ექიმი, მაგრამ მას ველარაფერი უშველია, გუშინ დილით განსვენებულმა განუტევა სული.

თხუთმეტ წელიწადზე მეტი იქნება, რაც განსვენებული ქართველ საზოგადოებაში მუშაობდა და მოღვაწეობდა. მისის რედაქტორობით გამოდიოდა მშვენიერი საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“. დაარსებიდანვე მეტად მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ ჟურნალის სვებედში. მოგეხსენებათ, რა ძნელია ამ ასპარეზზე მუშაობა და განსვენებულიც შრომასა და ძალას არა ზოგავდა ამისათვის.

დიდი ამაგი მიუძღვის განსვენებულს სახალხო თეატრის წინაშეც. მარიამ დემურია თითქმის დაარსებიდანვე იღებდა მხურვალე მონაწილეობას სახალხო წარმოდგენების საქმეში. დღეს ეს საქმე გაადვილდა. შენობაც არის და აღარც ადმინისტრაცია უშლის ხელს. სულ სხვა იყო ათი-თხუთმეტი წლის წინად. დიდი ბრძოლა, უზომო სირბილი და მეცადინეობა იყო საჭირო ქართულ სახალხო წარმოდგენის გამართვისათვის, და განსვენებული იმ მცირე ჯგუფში იყო, რომელიც გადაგებული იყო ამ საქმისთვის. სცენის მოყვარეთა სიმცირის გამო ხშირად თითონაც ასრულებდა ხოლმე როლებს.

დიდ მონაწილეობას იღებდა განსვენებული სხვა საზოგადო საქმეებშიაც. სთარგმნიდა აგრეთვე საყმაწვილო მოთხრობებს და წერილებს.

განსვენებული არ იყო იმდენად ხანში შესული ადამიანი. სულ 50 წლისა თუ იქნებოდა და ჯერ კიდევ დიდ ხან შეეძლო მუშაობა, მაგრამ ბედმა არ ისურვა და ასე მოულოდნელად გამოასალმა წუთისოფელს.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ჰენრიხ სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული პიესა „სად მიხვალ?!“ თარ. აკაკი წერეთლისა. პეტრონიის როლს შეასრულებს პირველად ვლ. მესხიშვილი, ევნიკისას—თამარ გოგოლაშვილი.

---

**ნ. ჩხეიძის გასტროლი.** ქართული დასი ნ. ჩხეიძის გასტროლისთვის ამზადებს „მარგარიტა-გოტიეს“.

---

**ახალი პიესა.** ივ. გომართელმა დასწერა ორ მოქმედებიანი კომედია-ვოდევილი: „დრამატიულ გამგეობის წევრი“.

---

**ქუთაისი.** 17 იანვარს ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ქართულ სცენისათვის ახალი სამმოქმედებიანი პიესა ოტტო ერნსტისა „წინამძღოლი“, თარგმანი გრ. აბაკელიასი. პიესა შინაარსიანია, მაგრამ სასცენოდ ნაკლები გამოდგა. ამის მიზეზი ისაა, რომ მოქმედებები ძლიერ გაჭიანურებულია და ღალავს მაყურებელს, განსაკუთრებით პირველი და მეორე მოქმედება. პიესაში მეტია ლაპარაკი მსჯელობა და ნაკლები მოქმედება. პიესის შინაარსი მოკლედ ასეთია: პარლამენტის წევრი იურისტი, ლიბერალურ პარტიის ლიდერი გელმუტ ბანერმანი, კაცი მეტად გავლენიანი, დაჩვეული უველგან უფროსობას, უველგან თავმჯდომარეობას, ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ დაუახლოვდეს უმაღლეს წრეებს და მინისტრობა გაიკრას. ამ აზრით სურს მიათხოვოს თავისი ახალგაზდა ქალი მოხუც გრაფს ფონ-დამბახს, რომელიც სურს კიბედ გამოიყენოს მაღლა ასაცოცებლად. გელმუტ ბანერმანი თავის მეუღლით მუდამ „საზოგადო საქმეშია“ გართული: დღეში სამი მიწვევის წრიდი მოსდით; თუ თვითონ არა ჰყავთ სტუმრები, სხვაგან არიან სტუმრად მიწვეულნი“. შვილებზე საზრუნავად დრო არა აქვთ. მშობლებმა შვილების სულის კვეთება არ იციან. უკანასკნელნიც მტრულად და უნდობლად უყურებენ მშობლებს. ბანერმანი დღესასწაულობს 25 წ. ქორწინების დღეს. სხვა-და სხვა დაწესებულების წარმომადგენლნი ულოცავენ დღესასწაულს „ბედნიერ“ ცოლ-ქმარს. ერთს დეპუტაციაში მონაწილეობას იღებს ლიბერალურ პარტიის ახალი წევრი ახალ-გაზრდა პრივატ-დოცენტი ბროდერსენი. იგი სხვა-

---

ბურათ გადვიხდი პანაშვიდს: ტრაპეზათ ვიხმარ პატარა ქალილს, ეკლესიათ მკითხველთა კრებულს; ლოცვებისა წილ ვიგალობებ ქვეყნის ჰირ-ვარამს.

გრძნობა - გონებავ, დაკვეთილი გულის სისხლი და ყვითელი ნაღველი ფერადებათ აიღე და ცრემლით გალესე გამხმარ მკერდზე; ტილოთ იხმარე სევდის ქსოვილი და ზედ დახატე მწუხარებაში, ნაწეწის თმით გოდება სულის.

I.

### ტ ა ბ ა კ ე ლ ა.

ანგელოზის ლოცვა ვერ შეჰქმნიდა ასეთს ღმთაიერს სახეს; სიო ვერ დაბერავდა ასეთს სინაზეს. ფერმკრთალი ბავშვი თითქოს თვით ჰეშმარიტების განხორციელება იყო.

ეხლა თვალები დაეხუჭა. გრძელი შავი წამწამები ლოყებს დაჰფენოდა.

გალურჯებული, გაყვითლებული ქალი, თმა გაწეწილი წყნარად ასწორებდა ისედაც გასწორებულს ბამბასავით თეთრს ბალიშს და გულის სიღრმიდან, თითქოს აჩრდილი ლაპარაკობსო ფუჩუნით, მაგრამ სრულიად გარკვევით იმეორებდა:

— ექიმო გვიშველე! ექიმო გვიშველე! ჩვენ ორი ადამიანისთვის ამის მეტი არა არის რა! ამაში განხორციელებულია არა მარტო ჩვენი სიყვარული, ჩვენი ტანჯვის მალამოდ ის მოგვევლინა. ექიმო, გვიშველე! იცით, ექიმო, ამ ბავშვში ჩემი თავქარიანობის გვირგვინიცაა! დიახ, ექიმო, დიახ! წამსა უმწვერვალესს ნეტარებისას იქ წავითვალეთ, თავს ვითრობდი და ვივიწყებდი, რომ ორ ავადმყოფისაგან ჯანმრთელი არ დაიბადებოდა. მაგრამ, ექიმო, ნუ თუ არ გვქონდა უფლება ათის წლის სიყვარულის შემდეგ, მთელის ცხოვრების მწუხარებაში და ტანჯვაში გატარების შემდეგ, ერთი დღე დავმტკბარიყავით. ნუთუ იმედი არ უნდა მქონოდა, რომ ბუნების წინაამდეგ დატანჯულებს, ბუნების წინაამდეგვე ერთხელ დაგვაჯილდოვებდა ბუნება. გვიშველე, ექიმო! ადამიანო გვიშველე!

— ქალბატონო, რაც შემიძლია...

— რაც შეგიძლია!.. ის ჰქმენი, რაც არ შეგიძლია, თორემ შესაძლებელს, რა თქმა უნდა, მოიმოქმედებ. ექიმო, სასწაული, სასწაული ექიმო!

— ქეთო!—მოისმა სუსტი ხმა მეორე ოთახიდან.

ქალმა თმა გაისწორა, თვალებში ხელი ამოისვა, ერთს წამს ეცადა თავი დაემშვიდებინა და თითქმის ღიმილითაც-კი გავიდა მეორე ოთახში. გამოკვდილი ადამიანი შეშინდებოდა ამ დამალულ ჰმუნვის შეხედვით.

— რას ამბობს ექიმი?—დაეკითხა მწოლარე.

— არაფერს. ძლიერ ავად არის, მაგრამ საშიშო არაფერიაო,—ოსტატურად მოიცრუა ქალმა.

— პატარას მიიძინებდე!..

— რა დროს ძილია: შუა დღეა!

— ორი კვირაა სრულიად არ გძინებია...

— კარგი, არჩილთან გავალ და

— ხელი დამადე შუბლზე. ასე, გმადლობ! იცი, უწინ ძლიერ მეცინებოდა, როცა დ'ანუნციოს მიერ დუზეს ხელებისადმი ჯიოკანდოს მიძღვნა გამახსენდებოდა; ეხლა კი, რომ წამოვდგებოდე... როგორც კი წამოვდგები ფეხზე, ვეებერთელა გამოკვლევას ხელების შესახებ ვუძღვნი სწორედ შენს ხელებს.

— კარგი, ერთი ნუ ინაზები,—თითქმის წყრომით უთხრა ქალმა და ხელი მოაშორა.

— მოიცა, ხელზედაც მაკოცნინე...

ქალს ცრემლები მოაწვა გულზე, ჩქარა შემოტრიალდა, მაგრამ აქაც ისე ხერხიანად მიატოვა ქმარი, თითქოს ეხუმრება და არ უნდა მეტის-იეტად დაისაჩუქროსო.

— ეჰ, უსათუოდ ჰგონია კიდევ წამოვდგები და იმიტომ მეხუმრება.

„განშორება მისერავს გულსა, თორემ სიკვდილის არ მეშინია“,—მოაგონდა საიდგანღაც ლექსი.

ბავშვს ისევ ისე ეძინა მშვიდად, წყნარად... სულსაც არ ითქვამდა; მიცრეცილი ტუჩები გაჰლებოდა და თეთრი ჩარიწკინებული კბილები მოკრთოდა. ექიმს დრო ეშოვნა და გაპარულიყო.

„ღმერთო!—დავარდა ქეთო მუხლებზე კუთხეში, სახატის წინ—ტანჯვანი გამიათკეცე, ცრემლთ მაგიერ სისხლი მადინე, ოღონდ ამას, ამას, უფალო, ნუ წამართმევ! მე მომკალ, უფალო, ჩემი ქმარიც, ოღონდ არჩილი იყოს. ჯერ ისე უმანკოა, რომ ლოცვაც არ იცის, უფალო. უფალო, ორივე საპყრად დარჩეს ოღონდ, უფალო, ნუ წამართმევ. მაგათ მოვლაში, უფალო დავლიო სული.

— ა!—იკივლა უცბად ქალმა და მივარდა ლოგინს. დაცრეცილ ტუჩების კუთხიდან გადმოდიოდა მოყვითალო სქელი წყალი... ცხვირის ნესტოების ძირი იმავე წყლით იყო გასვრილი. ქალი შედგა, დააშტერდა, მერე ნელ-ნელა ამოიღო ცხვირსახოცი, მოსწმინდა ცხვირი და ტუჩი... და ბავშვს ისევ ისე ეძინა წყნარად, მშვიდად... სულსაც არ ითქვამდა; ჩაცრეცილი ტუჩები გაჰლებოდა და თეთრი ჩაწკრიალებული კბილები უკრთოდა.

— ქეთო!—სუსტად დაიძახა მეორე ოთახიდან ავადმყოფმა. ხმა უპასუხოდ დარჩა.

ქეთო დინჯად, წყნარად, ჩუმად, ფეხ-აკრეფით მივიდა ხის დაბალ, პატარა ტახტთან, აიღო, შუაში დადგა და უკანა კარებში გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩუმად, ფეხაკრეფით შემოვიდა და ტახტს შემოუწყო შემოტანილი საბუდარი, პატარა ფიჩხები. ტახტს თეთრი ზეწარი გადააფარა და ლოგინიდან გადმოიტანა არჩილი.

ბავშვს ისევ ისე ეძინა... სულსაც არ ითქვამდა, მიცრეცილი ტუჩები გაჰლებოდა, და თეთრი კბილები უკრთოდა.

ქალმა გაალო კამოდი და ძველი, ქორწილის დღიდან დარჩენილი ხელოვნური ყვავილები ამოიღო, მაგიდიდან თაიგული მოიტანა და ზოგი გვირგვინად გაუკეთა არჩილს, ზოგი ხელში მისცა, ზოგი გვერდზე მიუწყო. ვეებერთელა ოდეკოლონის შუშა გახსნა და დაასხა ცხედარს ირგვლივ და მთელ ოთახში. ბოლოს ნავთი გადაასხა იქაურობას. ქალმა წუმწუმას გაჰკრა და ბურდოს შეუკეთა. ცეცხლი ჯერ დაიკლაკნა ყვითელ გველივით და მერე უეცრად მოედვა ფიჩხს, ჩალა-ბულახს, ბუდეს...

კარებში ლანდი გამოჩნდა: თეთრი საცვალი თითქოს ჯვარზე იყო ჩამოცმული. გრძელი შავი თმა ოფლის წვეთებით აჭედილს შუბლზე მიწეპებოდა. საეჭვოდ აფერადებოდა ლოყები. შავი თვალები ერთს წერტილს სივრცეში მიშტერებოდა.

— მოდი, მოდი, სიკვდილის ელჩო, ჩემო ვარდენ! მოდი, უკანასკნელად გამოვიცვალოთ რჯული. ჩვენს გულში ნაზმა, მორჩილებით უზენაესისადმი და სიყვარულით მოძმეთადმი სავსე ქრისტიანობამ თავის მოიმედე, მკაცრ ანგარიშიანს სოციალიზმს დაუთმო ადგილი; მერე ფრთხილი, გამოცდილებაზე დამყარებული მეცნიერება გვეჩვენებოდა ქვეყნის მხსნელად, მაგრამ ყველაფერმა სასაცილოდ აგვიგდო. მოდი, მოდი, ეხლა სისხლის მაძიებელს იეჰოვას, ასტარტას ვეთაყვანოთ, სატანას ძალა ვწამოთ... მოდი!

ეშმაკმა ტაბაკელა
აქ გამართა, ამ ქვეყნად—
ყველა ჩვენი ზღაპრები
მავნეს ვფიცავ, ღირს სმენად.
ოღონდ მთაში არ მიდის
ეშმაკი საქეიფოდ,
ადამიანთ ცხოვრება
აირჩია სამეფოდ.
წმინდანების მაგიერ
ცოცხს დავკიდებ ბანჯგვლიან,
კელაპტარის მაგიერ
ცეცხლს გავაჩენ კვამლიანს.
ჩემს ანგელოზს შევსწირავ
ბორტ მეფეს ზვარაკად,
გააცოცხლებს და მომცემს
გარდაქმნილს უკვე ჰინკად.
ყოველ ღამე შევჯდები
ამ ცოცხზე ტურაქალად,
ეშმაკის ძლიერების
გავხდები მქადაგებლად.
ჯოჯოხეთის ტანჯვები
აქ ირის, ამ ჩვენს სახლში;
ყველა ერთად დავიწვათ
ბრიალ-ბრიალა ცეცხლში.

ორი ხელგადაჭდობილი მოჩვენება საშინელის სისწრაფით დარბოდა კოცონის ირგვლივ. ვარდენს ფეხი გაუსხლტა, და ორივე ღამის გუშაგივით შემოუწვა ტახტს. ვარდენი უძრავად იდვა. ქეთო ერთის ხელით ქმარს ეხვეოდა და მეორეთი დაფერფლილ ყვავილებს უსწორებდა გაშავებულს ბავშვს.

ოლიმპოს ღმერთები უსიამოდ უყურებ ნენ ცოლქმრის წვალებას; ბუნების ძალნი განუწყვეტლივ არღვევდნენ და აერთებდნენ, მოქმედებდნენ და ვერც კი ამჩნევდნენ ქეთოს ოჯახის ამოწყვეტას.

აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ღმერთებს თითქოს ჟინი მოერიათო გაიძახოდნენ:

„ოჰო, ესე! ოჰო, ესე“!

ღმერთი მწუხარებისა, ვაებისა და უიმედობისა, მშვენიერი ქალი, მტანჯველი მიმზიდველობით შემკული სევდა ნარევ სიამოვნებით იღიმებოდა. **ნ. ლორთქიფანიძე.**

ბივათ არ მღიქვნელობს თავმოყვარეობით დაბრმავებულ მუზმუზელა ბანერმანის წინაშე, რომელიც მაჯლაჯუნასავით დაწოლია მრავალ საზოგადო საქმეს და სხვის კრიტიკას, ახალ სიოს ვერ ჰგუობს. ბატონობას მიჩვეულს, განებივრებულ ბანერმანს არავითრად ეჭაშნიკება ბროდერსენის გაბედული „თავხედური" ლაპარაკი. ბანერმანის შვილები შეიყვარებენ ბროდერსენს, როგორც კეთილშობილსა და პირუთვნელ კაცს. ბანერმანი ჰხედავს ბროდერსენში თავის ძლიერს მეტოქეს და მაშინვე შეუდგება მის დამხობას, რისთვისაც ყოველ საზიზღარ საშუალებას ხმარობს. აიძულებს ლიბერალურ პარტიის წევრთ—დაადგინონ რომ მერვე რაიონმა რეიხსტაგში თავის წარმომადგენლად ბროდერსენი არ აირჩიოს. ამავე დროს ბანერმანი სხვა და სხვა საშუალებით ავრცელებს ბროდერსენის შესახებ უოვლდგვარ ჭორსა და ცილის-წამებას, რომ ამით საზოგადოების თვალში სახელი გაუტეხოს და გზიდან ჩამოიცილოს. თავის უურმოჭრილ მონას, მდივანს გაბელს უკარნახებს დი აწერინებს ორს საგაზეთო წერილს: ერთში აწერილია ბანერმანების 25 წლის ქორწინების დღესასწაული, სადაც გელმუტ ბანერმანი ქებადიდებითაა მოხსენებული და რაღაც იდეალურ, ზეკაცადაა დასახული. მეორე წერილში კი ლანძღვა-გინებითაა მოხსენებული ბროდერსენი სხვათა შორის, ნათქვამია ვითომ ბროდერსენს ქრთამი აეღოს მთავრობისაგან და დაეხუროს ერთი, მთავრობის საწინააღმდეგო ლიბერალური გაზეთი. უკანასკნელ წერილზე ბანერმანის ბრძანებით, გაბელი აწერს პსევდონიმს „კატონ უფროსი". ამ წერილის ზოგიერთი სიტყვები, სხვათა შორის, პსევდონიმი „კატონ უფროსი" ნაწერის გაშრობის დროს გადადის საშრობ ქაღალდზე, რომელიც გაბელის საშუალებით ხელში ჩაუვარდება ბანერმანის ქალს კლარისას, რომელსაც უყვარს ბროდერსენი და ცოლად უნდა გაჰყვეს. კლარისა, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის საშრობის საიდუმლოება, აჩვენებს მას თავის ძმას ბრუტს. უკანასკნელი სარკის საშუალებით საშრობზე ამოიკითხავს იმ სიტყვებს, რომელიც ბროდერსენის შესახებ გაზეთში იყო დაბეჭდილი. ამგვარად აშკარავდება, თუ ვინ იყო წერილის ავტორი. ბრუტი საშრობს მაშინვე ბროდერსენს წაუღებს. ამ ამბავს გაიგებს ბანერმანის მეუღლე ალმა და უგულაფერს ქმარს შეატყობინებს. უკანასკნელი აიძულებს თავის მდივანს გაბელს, რომ მან გადაიბრალოს წერილის დაწერა, ვითომ ბანერმანს არავითარი მონაწილეობა არ მიეღოს წერილის შედგენაში. აქედან იწყება ბანერმანის დაცემა. მეუღლე და შვილები, რომელნიც წინად კრინტს ვერა სძრავდნენ გელმუტის წინაშე, ახლა უგულა პირში წარუდგება და თამამად ამხელს იმის გაიძვერულს, უსინიდისო საქციელს. თუმცა გაბელი უფიცავს ბროდერსენს, რომ წერილი მან დასწერა, მაგრამ ისე გაუბედავად და აღელვებით, რომ ყველასთვის აშკარა ხდება, რომ წერილის ნამდვილი ავტორი ბანერმანია. ამდენ-ხანს გულზვიადი, ქედმაღალი, პატივმოყვარეობით დაბრმავებული ბანერმანი სრულიად იკუმშება, მცირდება, ქედს იხრის ბროდერსენის წინაშე და მზადაა მიტევება სთხოვოს. უკანასკნელიც აპატიებს დანაშაულს, მაგრამ შემდეგ პირობას უდებს: თავი დაანებოს თავმჯდომარეობას სხვა და სხვა საზოგადოებებში, სადაც მას იხოლოდ ზარალი მოაქვს, და თავის შვილების აღზრდას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, მასთან თავის მდივანს გაბელს დევნა არ დაუწყოს. უოუელგვარ პირობაზე თანხმდება დამორჩილებული ბანერმანი, რომელიც, მგონი, თავის სიცოცხლეში პირველად იხდის ნიღაბს და აღიარებს თავის გულის ნადებს: „ლიბერალიზმი მიქარვაა, სოციალიზმი სისულელეო".

წარმოდგენამ საზოგადოდ სასურველად ვერ ჩაიარა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მსახიობთ არა ჰქონდათ პიესა შეგნებულ-შეთვისებული და თან როლებიც ცუდად იცოდნენ.

# გედევან ვასილის ძე გედევანოვი
(გ. მ ი რ ა ღ ი ა ნ ი)

ამას წინად „დროების" სურათებიან დამატებაში მოთავსებული იყო ქართულ-სომხურ სცენის ნიჭიერ მსახიობის გ. გედევანოვის სურათი, მის 25 წლის საარტისტო მოღვაწეობის შესრულების გამო. საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვით გავაცნო ქართველ მკითხველებს გ. გედევანოვის ვინაობა, რომელიც ამ 25 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ სომხურ სცენებს, ხოლო 20 წელიწადია, რაც განსაკუთრებით მუშაობს ქართულ სცენაზე.

გ. გედევანოვი დაიბადა ტფილისში 1859 წ. 28 ივნისს. პირველად სწავლობდა სომეხთა სამრევლო სკოლაში. იქიდან გადაიყვანეს სომეხთა ნერსესიან სემინარიაში, მაგრამ იქაც დიდხანს არ დარჩენილა, გადაიყვანეს გიმნაზიაში, სადაც გაათავა ექვსი კლასი და სამსახურში შევიდა.*)

კანცელიარიული ვიწრო წრე და პირობები ვერ აკმაყოფილებდნენ მას და ამიტომაც სამსახურს თავი გაანება და 1887 წ. მასწავლებლად შევიდა სომეხთა სკოლაში. 1897 წ. იგი მიიწვიეს სომეხთა სემინარიაში, სადაც დღესაც პედაგოგობს.

გედევანოვს ბავშვობიდანვე უყვარდა თეატრი. მასზე დიდი გავლენა იქონია მისმა უფროსმა ძმამ, იაგორმა, რომელიც მე-70 წლებში სომხურ სცენის ნიჭიერი არტისტი იყო. ჯერ ისევ გიმნაზიელობის დროს, 1881 წ., იგი გამოვიდა სამსახიობო ასპარეზზე, როგორც სცენის მოყვარე, რომელსაც სომხურმა პრესამ იმ თავითვე მიაქცია ყურადღება. 1884 წელს იგი სომხურ დასში შევიდა, უკვე როგორც პროფესიონალური არტისტი.

1889 წ. ქართულ სცენის ნიჭიერმა და დამსახურებულმა არტისტმა ვასო აბაშიძემ მიიწვია იგი ქართულ დასში, რომელიც გედევანოვმა დიდის სიხარულით მიიღო. როგორც სომხურ, ისე ქართულ სცენაზე პირველად გამოსვლის დღიდანვე მიიპყრო საზოგადოების და პრესის ყურადღება. ამას გვიმტკიცებენ ადგილობრივ ქართულს, სომხურ და რუსულ გაზეთებში მოთავსებული რეცენზიები. გადაშალეთ „ივერიის", „ცნობის ფურცლის", „მშაკის" და სხვა გაზეთების ძველი და ახალი ნომრები, და დაინახავთ, როგორ აფასებდნენ მსახიობს 1884 წლიდან დაწყებული ვიდრე 1909 წლამდე. გაზეთები ერთხმად მოწმობენ, რომ ბ-ნ გედევანოვს, რა როლიც უნდა აეღო, ყოველთვის შეგნებით ეკიდებოდა საქმეს. ამასთან იგი მონაწილეობას იღებდა როგორც დრამაში, ისე კომედიაში, ვოდევილში და ოპერეტში.

ჩვენს მსახიობს გულითა და სულით უყვარს სცენა და მისი ერთგული მოსამსახურეც არის. აი, ამისათვის აფასებს და პატივსა სცემს საზოგადოება და პრესა. თუმცა გედევანოვს არავითარი დრამატიული სკოლა არა აქვს გავლილი, მაგრამ მან მაინც შრომითა და დაუღალავ მეცადინეობით კარგი არტისტის სახელი დაიმსახურა.

ქართულ სცენაზე გედევანოვს მრავალი როლი შეუსრულებია. ყველას ეხსომება მის მიერ გაპიროვნებული ტიპები: პოლონიუსი („ჰამლეტი"), გრუშიო („ქირვეული ცოლის მორჯულება"), სგანარელ („დონ-ჟუანი"), ჰარპაგონი („კრიჟანგი" მოლიერისა), ექიმი ბართოლო („სევილიელი დალაქი"), ფუშე („მადამ სანჟენი"), ჩუგუნოვი („მგლები და ცხვრები"), ფიგარო („ფიგაროს ქორწინება"), როკო („ნატვრის თვალი") და მრავალი სხვა. ქართველთა და სომეხთა ცხოვრებიდან აღებულ პიესებშიაც ყოველთვის ყურადღებას იქცევდა გედევანოვი. დავასახელოთ რამდენიმე როლი: ბაადურ („პატარა კახი"), ბესო („ლალატი") გიქო („ხათაბალა"), ოსეფ („დაქცეული ოჯახი") და მრავალი სხვა.

ბ-ნმა გედევანოვმა სომხურად სთარგმნა ა. ცაგარლის „ციმბირელი" და „ბაიყუში".

კარგა ხანია, იგი თანამშრომლობს „მშაკში", „გეღარვესტში" (ხელოვნება). ამ ცოტა ხანში „გეღარვესტში" დაიბეჭდება მის მიერ დაწერილი ქართულ თეატრის ისტორია. უთანამშრომლნია აგრეთვე „მურჰში", „თეატრში" და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

სცენის გარდა გედევანოვი 23 წელიწადია, რაც საპედაგოგო ასპარეზზე მუშაობს.

როგორც ამ მცირე წერილიდან დაინახავს მკითხველი ჩვენს არტისტს მთელი თავისი სიცოცხლე საზოგადო საქმისთვის შეუწირავს, მაგრამ უპირველესს ყოვლისა იგი სასცენო ხელოვნების ქურუმი იყო. თავის მოქმედებით და მოღვაწეობით გედევანოვი ხელს უწყობდა ქართველ სომეხთა კარგ განწყობილების განმტკიცებას.

ამ რიგად გედევანოვი 20 წლის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა ქართულ სცენაზე, ხოლო ხუთი წელიწადი სომხურზე. ჩვენის აზრით, როგორც ქართველების, ისე სომხების ზნეობრივი მოვალეობაა, დააფასონ ამ მშრომელ და მუყაით არტისტის 25 წლის მოღვაწეობა. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, როგორც გადმოგვცეს, უკვე გადაუწყვეტია გაზაფხულზე დასდგას საიუბილეო წარმოდგენა. ყველანი მოვალენი ვართ ამ საქმეში მხარი მივცეთ და დავეხმაროთ საზოგადოებას, რომ ღირსეულად დავაფასოთ არტისტის 25 წლის მოღვაწეობა.

Artemius.

*) ბიოგრაფიულ ცნობებისათვის გხარგებლობ „ცხოვრების სარკე"-ში დაბეჭდილ წერილით. ა. გ.

# ოსმალეთი
### ბოლგარია-ოსმალეთის ურთი-ერთობის გამწვავება.

ამჟამს დროს მეტად გამწვავდა ბოლგარია-ოსმალეთის ურთიერთობა. ბოლგარიის მთავრობა და ხალხი არ იშლიან. წინადებურად ერევიან მაკედონიის საქმეებში და იქაურ ბოლგარებს ბეჯით დახმარებას უწევენ. მეორეს მხრით, ოსმალეთის მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ბოლგარების პროტესტებს და სასტიკად სჯის ბოლგარელ რევოლიუციონერებს მაკედონიაში. ამის გამო ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის ისე გამწვავდა, რომ როგორც ბოლგარია, ისე ოსმალეთი საომრ თადარიგს შეუდგნენ.

ინგლისური გაზეთები არწმუნებიან, რომ მალე ბალკანეთში დიდი ამბები მოხდებაო. ოსმალეთი გაბედულად და გადაჭრით მოითხოვს, რომ ბოლგარია აღარ გაერიოს მაკედონიის საქმეებშიო.

ოსმალეთის მთავრობამ საომრად დაამზადა მეორე და მესამე კორპუსები. ადრიანოპოლში უყველ დღე იგზავნება სამხედრო სურსათი და მასალა. ბოლგარიის მთავრობამ ამის თაობაზე განმარტება მოსთხოვა ოსმალეთის მთავრობას.

# უცხოეთი
### წყალდიდობა საფრანგეთში

დიდი უბედურება დაატყდა თავს საფრანგეთს: იქაური მდინარეები ადიდდა და მთლად წალეკა მიდამოები. დეპეშებიდანაც ვიცით, ადიდებულ მდინარე სენას დიდს გაჭირვებაში ჩაუგდია და დიდი ზარალი მიუცია მის ნაპირას მდებარე ქალ. პარიზისთვის. გერმანულ გაზ. „ბერლ. ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი დაწვრილებით ასწერს, რა საცოდაობაში ყოფილა ჩავარდნილი პარიზი და მისი მიდამოები წარსულ 13 იანვარს:

„მდინარე სენა 13 იანვარს ისე ადიდდა, რომ სრულიად შეუძლებელი იყო ქუჩებში გავლა გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობიდან ინვალიდების სახლამდე. გარეშე საქმეთა სამინისტროში საქმის წამოღება შესწყვიტეს და დროებით შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიტანეს, ინვალიდების სახლი მთლად წალეკილია. შიშობენ, რომ მისი გალავანი ვერ გაუმაგრდება ადიდებულ წყალს და დაინგრევაო. დეპუტატთა პალატაში სრულიად ვეღარ მუშაობს ტელეფონი. „თანხმობის" ხიდთან ცემენტის ზღუდეს აგებენ. სენ-ლაზარის ვაგზალში მიმავალ ქუჩებში ეტლებს აღარ უშვებენ; იქ მხოლოდ ქვეითად შეიძლება გავლა, ისიც დიდის სიფთხილით, რადგან წყალმა ბევრგან ძალზე ჩაალრმავა და ამოჭამა ქუჩები. წყალი „თანხმობის" მოედნის სიმაღლემდე ავიდა. სხვა უბნებშიაც შევარდა ბევრი შენობა წალეკა წყალმა. რკინის გზის მოძრაობა ორლეანის ვაგზლიდან ჟიუვიზიმდე შეჩერებულია. ელექტრონის გზებიდან ორიოდე-ღა მუშაობს. მეტროპოლიტენს მხოლოდ ქალაქის განაპირას-ღა შეუძლიან მუშაობა.

პარიზის მიდამოები ხომ უფრო უბედურ მდგომარეობაშია. ნეილიში მარტო ორ ქუჩაზე შეიძლება გავლა. დანარჩენი ქუჩები წალეკილია წყლისაგან, რომელიც ზოგან სახლების პირველ სართულების სიმაღლემდე აღწევს. ალფორტვილში 1,600 სული უბინაოდ დარჩა. შარანტონის ქუჩები სავსეა უბედურ ხალხით, რომელსაც ზურგზე აუკიდნია ბარგი-ბარხანა და პარიზისკენ მიდის. სნეულების გადაყვანა წყლით სავსე ქუჩებში მეტად უჭირდებოდათ, რადგან ნავებს ვერა შოვობდნენ. მთავრობის განკარგულებით შერბურგიდანა და დიუნკირხენიდან ხალხის საშველად გამოგზავნეს 74 ნავი 112 მეზღვაურით. პოლიციის უფროსმა ხუთ ნაწილად გაყო ქალაქი; ყოველ ნაწილში მოქმედებს და ხალხს ეხმარება თითო სამხედრო რაზმი ოფიცრის მეთაურობით. პარიზის ჯარისკაცების საშველად კიდევ რამდენიმე რაზმი მოიყვანეს ბრესტადან. უბინაოდ დარჩენილ ხალხს აბინავებენ გაუქმებულ სასულიერო სემინარიების შენობებში.

მეორე გერმანულ გაზ. „ფრანკფ. ცაიტუნგ"-ის პარიზელი კორესპონდენტი ჰხსნის ამ უბედურების მიზეზებს: „ადიდებულმა წყალმა უფრო იმიტომ მოუტანა ასეთი დიდი ზარალი პარიზს, რომ მან გაავსო აუარებელი მილები, რომლებითაც თხუნელას ხვრელივით დაქსელილია პარიზის ნიადაგი და რომლებსაც პირი ღია აქვთ მდინარის ნაპირას. უბედურობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ვოგზალი ორსეი სწორედ გიჟურის ქარაფშუტობითაა აშენებული. ეს ვაგზალი მდებარეობს შუა ქალაქში, ტიულიერის ბაღის პირდაპირ და ორლეანის ვაგზალთან შეერთებულია სამი ვერსის სიგძე ტუნელით, რომელიც გაყვანილია მდინარის ნაპირს ახლო. ტუნელს ღია პირები აქვს მდინარის მხრივ; ეს პირები იმდენად ღრმადა დევს, რომ წყალი ადვილად შევარდა შიგ და მთლად გაავსო ტუნელი... მეტად ცუდი დღე მოელის მიწის ქვეშ გაყვანილ რკინის გზას, სახელად „ჩრდილოეთ-სამხრეთ"-ს. ეს ჯერ დაუსრულებელი გზა გადის მდინარე სენას ქვეშ, „თანხმობის" მოედნის ახლო. მის ნახევრად დასრულებულ ტუნელში წყალი შედის, ხოლო აქედან ჩრდილოეთისკენ—სენ-ლაზარის ვაგზლისკენაც მიდის და სამხრეთისკენ,—სენ-ჟერმენის ბულვარისკენაც და მაღლა მდებარე გზატკეცილს დანგრევას უქადის.

ფრანგული გაზ. „ფიგარო" იუწყება: მდინარე სენისა და მარნის ნაპირებზე მდებარე ქარხნები იძულებულნი იყვნენ მუშაობა შეეჩერებინათ; სხვათა შორის, ყველა ავტომობილის ქარხანამ და რამდენმამე ჰაეროპლანის ქარხანამ შეაჩერეს მუშაობა. ამის გამო რამდენიმე ათასი მუშა უსაქმოდ დარჩა.

პროვინციის მდგომარეობაზე პარიზის გაზეთები მეტად ცოტა ცნობას იძლევიან. მაგრამ თითო-ოროლა, კანტი-კუნტ ცნობიდანაც ჩანს, რომ პროვინციისთვისაც დიდი ზარალი მიუცია წყალდიდობას, „ტან"-ში დაბეჭდილია დეპეშა, მიღებული სონის შალონიდან: მდინარე სენა უფრო და უფრო დიდდება! ქალაქები წალეკილია, ქუჩებში მხოლოდ ნავებით შეიძლება სიარული, მრავალ სოფელს მთელის განსაცდელი, ერთს ქალაქში გაზის დიდს ქარხანას მეტად დიდი ზარალი მოუვიდაო.

### ანდრეა კოსტა.

ამ დღეებში გარდაიცვალა გამოჩენილი მოღვაწე იტალიის სოციალისტურ პარტიისა ანდრე კოსტა. კოსტას ბიოგრაფია წარმოადგენს იტალიის სოციალიზმის ნამდვილ ისტორიას. კოსტა ჭაბუკობის დროსვე შევიდა ინტერნაციონალის ორგანიზაციაში და არჩეული იყო მის კომიტეტის წარმომადგენლად იტალიაში. გაბედულ და მხნე აგიტაციისთვის კოსტა მრავალჯერ იჯდა საპყრობილეში და ადრე იძულებულიც იყო საზღვარ-გარედ გაჰქცეოდა იტალიის მთავრობის დევნას. საზღვარ გარედ დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა თვითონ კოსტა; მაგალითად, ლონდონში იგი იძულებული იყო კალატოზისათვის დაეწყო ლუკმა პურის საშოვნელად. 1881 წ. კოსტა აირჩიეს რავენის ოლქის დეპუტატად იტალიის პარლამენტში,—ეს იყო პირველი სოციალისტი დეპუტატი იტალიის პარლამენტში. თავის საპარლამენტო მოღვაწეობაში კოსტა თავდაპირველად, ზომიერ ტაქტიკას მისდევდა. მთელი თავისი ძალ-ღონე მან მოახმარა იტალიის სოციალისტურ პარტიის მოწყობასა და გაძლიერებასა. 1889 წელს სრულიად იტალიის პირველმა სოციალისტურმა კრებამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრად აირჩია კოსტა. მას პოლიტიკური მტრებიც-კი დიდ პატივსა სცემდნენ; ეს იქიდანაც სჩანს, რომ ბოლო დროს იგი აირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთ ამხანაგად. კოსტამ მთელი თავისი დღენი დიდ სიღარიბეში გაატარა და მხოლოდ ბოლოს დროს დააღწია თავი გაჭირვებას. იგი 58 წლისა გარდაიცვალა.

22 იანვარს (ახ. სტ.) კოსტა დიდის ამბითა და პატივით დაასაფლავეს მის სამშობლო ქალ. იმოლაში. მთელმა იტალიამ სცა პატივი ამ დაუღალავ და პატიოსან მოღვაწეს. უკვე შეკრიბეს ფული კოსტას ძეგლის ასაგებად. ამ ძეგლისთვის მთელი იტალია სწირავს ფულს: ქალაქის თვითმართველობანი, საზოგადოებანი და კერძო პირნი. („რ.")

# რუსეთი

**ბურცევი ამერიკაში.** სატატო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ბურცევი ამჟამად ამერიკაშია. გაზეთების სიტყვით ამერიკაშიაც აღმოჩენილან აზეფები და გარტინგები. სხვათა შორის, გაასამართლებენ ერთ დროს ცნობილი რევოლიუციონერს ალექსანდრე ავალენკოს, რომელსაც ეხლა, რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტობა ბრალდება. ბურცევი ამერიკაში საიდუმლოდ ჩასულა, რადგან ამერიკის კანონებით ამერიკაში შესვლა ეკრძალებათ იმისთანა პირებს, რომლებიც რაიმე პოლიტიკურ საქმეებისთვის ევროპის რომელიმე სახელმწიფოს სატუსაღოებში იმყოფებოდნენ.

**ქალები ნაფიც-ვექილები.** მკითხველს ეხსომება, რომ სახელმწიფო სათათბიროში ასამდე დეპუტატმა კანონ-პროექტი შეიტანა. ამ კანონ-პროექტით ქალებს ნაფიც-ვექილების უფლება უნდა მისცემოდათ. იუსტიციის მინისტრს მინისტრთა საბჭოში შეუტანია თავისი მოხსენება ამ კანონ-პროექტის შესახებ. შჩეგლოვიტოვი ამ კანონ-პროექტს უდროოდ ხდის.

**ქალთა უმაღლესი კურსები.** მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ქალთა უმაღლეს კურსების მოსწავლეების გამოსაცდელად შესდგება განსაკუთრებული კომისიები. გამოცდის შემდეგ მოსწავლეებს მისცემენ დიპლომება, რომლებიც ექიმობის და საშუალო სასწავლებლების მასწავლებლობის უფლებას მისცემენ.

**საუნივერსიტეტო წესდება.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის, ხომიაკოვის სიტყვით სათათბიროს ამ წელს აღარ განიხილავს ახალ საუნივერსიტეტო წესდებას და შემდეგ წლისათვის გადასდებს.

**ფლოტის განახლება.** ფლოტის განახლების ლიგას სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს წევრებისთვის დაუგზავნია მოწოდება. მოწოდებაში, სხვათა შორის, სწერია: რუსეთის ფლოტი თან და თან იშლება და ქვეითდება. საჭიროა ფლოტის აღდგენა, რისთვისაც საჭიროა საზღვარ-გარეთიდან ინსტრუქტორების მოწვევა და სხვაო!

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, ოდესაში 2, უფაში 3, პეტერბურგში 1, ვარშავაში 1, იურიევში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: როსტოვში 1, პეტერბურგში 1, ტომსკში 2, უფაში 3 კაცი.

**სარატოვის სამაზრო ერობის შუამდგომლობა.** „რუსკ. სლოვოს" სიტყვით სარატოვის სამაზრო ერობას დაუდგენია იშუამდგომლოს, რომ სარატოვის ახლად გახსნილ უნივერსიტეტთან გაიხსნა ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტი სამეურნეო განყოფილებით. ერობა დახმარებას გაუწევს ფაკულტეტს.


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ცთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—42)

**ღვინის კარგი ბოთლები**

1/16 ვედრისა არის ბლომად კ. ი. კასაალგის საწყობში. ფასები იაფია. ადრესი: ტფილისი, სომხის ბაზარი, ს. საკრედიტო საზოგ.-ბისა, N 1, გევორქ იაკობის ძეს კასაბოვს. (3—124—2



**ახალი რამ!!!**

**ჯიბის საათი მუდმივ კალენდრით**

ეს საათი უჩვენებს დღეს, რიცხვს და თვეს. ღამის ყოველ 12 საათზე ისრები ავტომატიურად გადახტებიან ხოლმე, და უჩვენებენ მომავალ დღეს და რიცხვს. ამას გარდა, ეს საათი ნამდვილი „ანკერია", სიარული 15 ქვ., მავი ფოლადისაა, მომართვა 40 საათში ერთხელ. სწორედ დადის ფასი მხოლოდ 4 მ. 50 კ., 2 ცალი—8 მ. 50 კ. იგზავნება ფას-დადებით უბეღდ 6 წლის პასუხის-მგებლობით გაგზავნა 4 ცალი 40 კაპ. (ციმბირში 75 კაპ.) **ჩვენი რჩევა:** ნუ გამოუდგებით იაფ-ფასიან საათებს და მუდამ ჩვენი მადლიერი იქნებით. მოდის ძეცვი ახალ ნამდ. ოქროსი, საუცხოვო 75 კ. და 1 მ. 50 კ., ორ მაგი—2 მ. 50 კ. და 3 მ 50 კ. ადრესი:

Варшава. Отдѣл. Т-во Аккуратностъ. 7.

გთხოვთ, ადრესი ამოსჭრათ და მაგრა დააკარით კონვერტზე

(Метцль и К° N 3624) (4—6.—1)



Швейныя машины „Кайзеръ"

**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—100)


სტამბა „ხინათლე" რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.